თვითმმართველი ერთეული ვანის მუნიციპალიტეტი

სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ორი ოთახის სარემონტო

სამუშაოების შესყიდვის ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

CPV-45400000

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლის და "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილი №9 ბრძანების საფუძველზე

ქ. ვანი 2014წელი

სარჩევი:

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის ---------- 3

2. ტექნიკური დოკუმენტაცია ---------- 6

3.შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება ---------- 8

4.სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი ---------- 11

5. დანართი № 1, აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა ---------- 17

6. დანართი № 2 ---------- 18

7. დანართი № 3 ---------- 19

8.დანართი № 4 ---------- 20

9. დანართი № 5 ---------- 21

ინსტრუქციატენდერშიმონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიანელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებულიშესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.
1.2სატენდერო წინადადების წარდგენისათვის უნდა იყოთ დარეგისტრირებული სისტემაში მიმწოდებლის სტატუსით. შემდეგ ვალდებული ხართ გაეცნოთ აფიდავიტს და დაეთანხმოთ მას (გაცნობას და თანხმობასა დაaსტურებთ სისტემის მეშვეობით).
1.3 ამის შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფი სელექტრონული გარანტია, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური.
1.4 სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%–ის ოდენობით.ტენდერში მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს.
1.5 ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების დროებითი ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა ყოველ კონკრეტულ ტენდერში შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე.
1.6 ამინსტრუქციის 1.5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც ხდება ელექტრონული გარანტიის წარდგენად საფასურის გადახდა სისტემის გამოყენების გარეშე, ელექტრონული გარანტიის დედანი და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინებ აშემსყიდველ ორგანიზაციას.აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და შესაბამისად, ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.
1.7 ელექტრონული გარანტიის ოდენობა შეადგენს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს.
1.8 მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნულ ქმედებებს განახორციელებთ, თქვენ უფლება გაქვთ სისტემის მეშვეობით წარადგინოთ სატენდერო წინადადება.
1.9 სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასის გარდა ტექნიკური დოკუმენტაციისგან.
1.10 ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.
1.11 ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიუთითოთ თქვენი სატენდერო წინადადების ფასი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
1.12 სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყო ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდად.
1.13 ძირითად დროში უფლება გაქვთ ცვალოთ თქვენი ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებითა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ბიჯზე არანაკლები ოდენობით.
1.14 ბიჯი არის სატენდერო წინადადების ფასის კლებისწინასაწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.
1.15 დამატებითი რაუნდების თითოეულ რაუნდში პრეტენდენტ სუფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც განესაზღვრება ორი წუთი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს
და შესაბამისად, ძალაში დარჩება მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთაღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივ ეოდენობით დატოვებას.
1.16 დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში - კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების

დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც პირველმა დააფიქსირა ასეთი ფასი.
1.17 მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი რაუნდები, სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით.ამისშემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.
1.18 იმ შემთხვევაში თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი.
1.19 თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი მას განუსაზღვრავს არა უმეტეს 3 სამუშაო დღისა ტექნიკური დოკუმენ ტაციის დაზუსტებისათვის. დაუშვებელია ტექნიკური
დოკუმენტაციის ისეთი დაზუსტება, რომელიც გამოიწვევს სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებას და მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე.
1.20 თუ პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდეროდოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაცემი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით.
1.21 სატენდერო კომისიის მიერპ რეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი
დოკუმენტების სატენდერო განცხადებასთან და სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც სატენდერო დოკუმენტაცია არ შეიცავდა პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენის მოთხოვნას – სატენდერო კომისიისმიერსატენდეროწინადადებისსატენდეროგანცხადებასთანდასატენდეროდოკუმენტაციასთანშესაბამ ისობისდადგენისშემდეგშემსყიდველიორგანიზაციაპრეტენდენტსგანუსაზღვრავსვადასხელშეკრულებისშესრ ულებისგარანტიისანდაზღვევისწარმოსადგენადდახელშეკრულებისდასადებადარაუმეტეს 10 სამუშაოდღეს, ხოლოიმშემთხვევაში, როდესაც1.21 სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელიდოკუმენტების სატენდერო განცხადებასთან და სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობისდადგენის შემდეგ, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც სატენდერო დოკუმენტაცია არ შეიცავდაპრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენის მოთხოვნას – სატენდერო კომისიისმიერ სატენდერო წინადადების სატენდერო განცხადებასთან და სატენდერო დოკუმენტაციასთანშესაბამისობის დადგენის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტს განუსაზღვრავს ვადასხელშეკრულების შესრულების გარანტიის ან დაზღვევის წარმოსადგენად და ხელშეკრულებისდასადებად არაუმეტეს 10 სამუშაო დღეს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების შესრულებისგარანტიის ან დაზღვევის მოთხოვნა არ ხდება, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტს განუსაზღვრავს ვადას ხელშეკრულების დასადებად არაუმეტეს 5 სამუშაო დღეს. აღნიშნული ვადის გაგრძელება შესაძლებელია არა უმეტეს ხუთი სამუშაო დღით, მხოლოდ სატენდერო კომისიის დასაბუთებული ოქმისსაფუძველზე, რომელშიც მითითებული იქნება ობიექტური მიზეზები, რომელთა გამოც ვერ მოხერხდახელშეკრულების დადება დადგენილ ვადაში.
1.22 პრედენდენტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:
ა) პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების
დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების
წარმოდგენისას.
ბ) თუ პრეტენდენტი უარს აცხადებს მის მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებაზე;
გ) თუ საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციომონაცემები არ შეესაბამება (მათ შორის, ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების შემდეგ) სატენდეროგანცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
დ) თუ გამარჯვებული პრეტენდენტი უარსგანაცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან ვერ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულებისუზრუნველყოფის გარანტიას (ასეთი გარანტიის არსებობის შემთხვევაში) კანონმდებლობითგათვალისწინებულ ვადაში;
ე) პრეტენდენტის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელებისას.

1.23 ამ ინსტრუქციის 1.22 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემსყიდველ ორგანიზაციასუფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტისმიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა დასატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.

1.24 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას,"გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერისჩატარების წესის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ", „რ" და „ტ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულიეტაპის შემდეგ ელექტრონული გარანტია უბრუნდება პრეტენდენტს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

ა) პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე; ბ) პრეტენდენტი შეყვანილია შავ სიაშიშესაბამისი ტენდერის ჩატარების შედეგად; გ)პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია საკვალიფიკაციომონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონესაკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში

1.25 იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული გარანტიის პრეტენდენტისათვის დაბრუნება მოხდება ამინსტრუქციის 1.24 პუნქტით დადგენილი პირობების დარღვევით, პრეტენდენტი ვალდებულიასახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაუბრუნოს საგარანტიო თანხა შესაბამისი მოთხოვნისთანავე.

1.26 ელექტრონული ტენდერის შეწყვეტა:

ა) სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონეპრედენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ, თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტისწინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატებადისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტისსაბაზრო ღირებულებას.

ბ) სატენდერო კომისიას უფლება აქვს გამარტივებული ელექტრონულიტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შემთხვევებში ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროსშეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარგაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/დასაზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;

გ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, პრეტენდენტებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლისსაფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, აანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთანდაკავშირებული ხარჯები.

1.27 გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან ან ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველადოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/დაინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებულიქართული თარგმანი.

1.28 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის,პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.29 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთულიყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი
პირის მიერ.

1.30 ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიცხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.31 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

1.32.დამატებითიინფორმაციისმისაღებადდაგვიკავშირდით:

☎595 90–85–19 ვანდა გიორგაძე - სატენდერო აპარატის წევრი.

E-mail: vanismunicipaliteti@yahoo.com

2.ტექნიკური დოკუმენტაცია

2. 1პრეტენდენტისმიერსისტემაშიტექნიკურიდოკუმენტაციისსახითატვირთულიუნდაიყოს:
ა) რეკვიზიტები, (დანართი 2-ის ფორმით);
ბ) ხარჯთაღრიცხვა (დანართი № 3-ის ფორმით);
გ) ინფორმაცია პრეტენდეტის გამოცდილების შესახებ. (დანართი № 4-ის ფორმით);
დ) სამუშაოს შესრულების გეგმა-გრაფიკი.

3. ანგარიშსწორებისპირობები:
3.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (ლარებში).
3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოებზე, არსებობის შემთხვევაში ფარულ სამუშაოებზე ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოდგენილი დასკვნის,ფორმა №2-ის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.
3.3 შემსრულებელი ვალდებულია შესრულებულსამუშაოებზე საექსპერტო დასკვნა წარმოადგინოს სამუშაოთა საბოლოო მიღება-ჩაბარების დროს (ექსპერტის ხარჯები გაიწევა შემსრულებლის მიერ.)
3.4საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.
3.5შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს შუალედური გადახდები მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს 80%-ის ოდენობით.

4. სამუშაოს შესრულების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან30კალენდარულ დღეში.
5. სატენდეროწინადადებისფასი:1956 ლარი.

5.1 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ხარჯთარიცხვები ტექნიკური დავალების შესაბამისად.
5.2 სატენდერო წინადადებაში ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობითგათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადისგათვალისწინებით.
5.3 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდლარში.

6. საგარანტიოვადა
6.1 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადათ განისაზღვრება1 (ერთი) წელი, რომლის განმავლობაშიც „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოსექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. აღნიშნული არ გულისხმობს საანგარიშოპერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის ზეგავლენით ანგარეშე ძალის ზემოქმედებით.

7. შესრულებულისამუშაოებისხარისხი
7.1 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გამარჯვებულ მიმწოდებელს მოსთხოვოს მის მიერ ნაჩვენები საბოლოო ფასის ხარჯთაღრიცხვის საექსპერტო დასკვნა, იმის გათვალისწინებით, რომ რამდენად შესაძლებელია აღნიშნული თანხით ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება.

8. შესყიდვისობიექტისმიღება–ჩაბარებისწესი

8.1 სამუშაოთა შუალედური მიღება-ჩაბარება განხორციელდება არსებობის შემთხვევაში ფარულ სამუშაოებზე ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოდგენილი დასკვნის, მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა №2-ის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისწარმოდგენის შემდეგ.

8.2 შემსრულებელი ვალდებულია შესრულებელი სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების დროსწარმოადგინოს ექსპერტის დასკვნა (ექსპერტის ხარჯები გაიწევა შემსრულებლის მიერ.)

8.3 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს სამუშაოს შემსრულებელი;

8.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი სამუშაოები უნდა შესრულდეს ჯეროვნად საპროექტო დოკუმენტაციის, მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად, წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და სამუშაოს შემსრულებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

8.5 გარანტია შესრულებულ სამუშაოზე შეადგენს 1 წელს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

9.შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები:

სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ორი ოთახის რემონტი - 1956 ლარი

№	სამუშაოს ჩამონათვალი	განზომილება	რაოდენობა
1	2	3	4
1	ჩამოიფხიკოს კედლების დაზიანებული ადგილები ნალესისაგან	მ^2	24
2	დემონტაჟი გაუკეთდეს აგურის წყობას კარების ადგილზე	მ^2	2,3
3	ამოილესოს ქვიშა-ცემენტის ხსნარით კარების ღიობის გვერდულები	მ^2	2,24
4	ამოილესოს ქვიშა-ცემენტის ხსნარით ფანჯრის ღიობის გვერდულები	მ^2	1,6
5	შესაღებია და დასამუშავებელია ფითხით ღიობების გვერდულები	მ^2	5,44
6	მოეწყოს კედელზე კარნიზი სიგანით 15 სმ	გრძ/მ	34
7	მოეწყოს იატაკზე ლინონიუმი	მ^2	36
8	გაიკრას კედელზე შპალერი	მ^2	85,5
9	მოეწყოს პლინტუსები	გრძ/მ	33
10	დამხმარე მასალები		
11	ტრანსპორტირების ხარჯი		

შენიშვნა:

1. **სამუშაოების შესრულებისას გამოყენებული სხვადასხვა მასალები და მოწყობილობები უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.**
2. **მიმწოდებელმა მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვერის გავლენა.**
3. **პრეტენდეტმა უნდა მიუთითოს ფასები ხარჯთაღრიცხვის ჩამონათვალში მოცემულ სამუშაოთა ყველა სახეობაზე. ხარჯთაღრიცხვაში განუფასებელი ან ნულით განფასებული სამუშაოები შემსყიდველის მიერ არ ანაზღაურდება და ჩაითვლება, რომ ეს სამუშაოები დაიფარება სხვა სამუშაოების ხარჯზე.**
4. **გამარჯვებულმა პრეტენდეტმა სამუშაოების შესრულების ამსახველი დოკუმენტაცია (ფორმები) უნდა წარუდგინოს შემსყიდველს აღნიშნულ დოკუმენტაციაში ასახულ სამუშაობზე ექსპერტიზის დასკვნასთან ერთად. ამასთან ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი**

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № --- (პროექტი)

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოსტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ---------- 2014 წელს

ერთისმხრივთვითმმართველიერთეულივანისმუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) ---------- ----------სახითდამეორესმხრივ---------- (შემდგომში „სამუშაოსშემსრულებელი“) დირექტორის---------- სახით, შორისდაიდოაღნიშნულიხელშეკრულებაიმისგათვალისწინებით, რომშემსყიდველმაჩაატარა ელექტრონული ტენდერი**SPA**:

სამუშაოების**CPV** ----------შესყიდვაზე, რომელშიცგამარჯვებულადგამოვლინდასამუშაოსშემსრულებლისსატენდეროწინადადება, რომლისთანახმადსამუშაოსშემსრულებელმაიაღოვალდებულებაშეუსრულოსშემსყიდველსზემოაღნიშნულისამუშაოლარად. ყველასავალდებულოგადასახადებისდათანმდებიხარჯებისჩათვლით (შემდგომში „ხელშეკრულებისღირებულება“).

1. გამოყენებულიტერმინებისგანმარტებები

ხელშეკრულებაშიგამოყენებულტერმინებსაქვთშემდეგიმნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულებასახელმწიფოშესყიდვისშესახებ“ (შემდგომ-„ხელშეკრულება“) - შემსყიდველორგანიზაციასადატენდერშიგამარჯვებულპრეტენდენტსშორისდადებულიხელშეკრულება, რომელიცხელმოწერილიამხარეთამიერ, მასზეთანდართულიყველადოკუმენტითდადამატებებითდაასევემთელიდოკუმენტაციით, რომლებზეცხელშეკრულებაშიარისმინიშნებები;

1.2 „ხელშეკრულებისღირებულება“ნიშნავსსაერთოთანხას, რომელიცუნდაგადაიხადოსშემსყიდველმაორგანიზაციამმიმწოდებლისმიერხელშეკრულებითნაკისრივალდებულებების სრულიდაზედმიწევნითშესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველიორგანიზაცია (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავსორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიცახორციელებსშესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ნიშნავსპირს, რომელმაცმოიპოვაგამარჯვებატენდერშიდაასრულებსსამუშაოსსახელმწიფოშესყიდვისშესახებმოცემულიხელშეკრულებისფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ნიშნავსკალენდარულდღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები და ხარისხი

2.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

3.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერიდეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს სამუშაოს შემსრულებელს.

3.3 გამოვლენილი დეფექტისაღმოფხვრასთან და ხელახლა ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება სამუშაოს შემსრულებალს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი სამუშაოები უნდა შესრულდეს ჯეროვნად საპროექტო დოკუმენტაციის, მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად, წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და სამუშაოს შემსრულებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

3.5ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ტექნიკურ ზედამხედველობაზე პასუხიმგებელია ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობისა ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურები.

4. სამუშაოს შესრულების პირობები

4.1 სამუშაოს შესრულება დაიწყება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან და დასრულდება 60 კალენდარულ დღეში.
4.2 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არ აქვს უფლება შეიტანოს სამუშაოს მოცულობებში ან გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 სამუშაოთა შუალედური მიღება-ჩაბარება განხორციელდება არსებობის შემთხვევაში ფარულ სამუშაოებზე ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოდგენილი დასკვნის,ფორმა №2-ის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.
5.2 შემსრულებელი ვალდებულია შესრულებელი სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების დროს წარმოადგინოს ექსპერტის დასკვნა (ექსპერტის ხარჯები გაიწევა შემსრულებლის მიერ.)
5.3შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს სამუშაოს შემსრულებელი;
5.4გარანტია შესრულებულ სამუშაოზე შეადგენს 1 წელს. საგარანტიო ვადის განმავლობაში სამუშაოს შემსრულებელი იღებს ვალდებულებას შემსყიდველისაგან შეტყობინების მიღებისთანავე დაიწყოს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის შკეთება, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

6. ანგარიშსწორება და ვალუტა

6.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (ლარებში).
6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებულ სამუშაობზეარსებობის შემთხვევაში ფარულ სამუშაოებზე ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოდგენილი დასკვნის, ფორმა №2-ის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.
6.3 „მიმწოდებლი"–ს მოთხოვნით, მხარეთა შორის 30%–ის ფარგლებში წინასწარ ანგარიშსწორებაზემიღწეული შეთანხმების შემთხვევაში, „მიმწოდებლი"–ს მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ საბანკოდაწესებულების მიერ გაცემული გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 1 (ერთი)თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების დასრულების ვადას.
6.4 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს შუალედური გადახდები მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს 80%-ის ოდენობით.

7.ფასები

7.1 სამუშაოს შემსრულებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს;
7.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა;
7.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 ხელშეკრულების პირობების ცვლილება არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარეშე.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1 სამუშაოს შემსრულებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი უფლებები და მოვალეობები მესამე პირს.

9.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. მხარეთა უფლება მოვალეობები

11.1 შემსყიდველი და სამუშაოს შემსრულებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

11.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს სამუშაოს შემსრულებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს სამუშაოს შემსრულებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება;
- წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს სამუშაოს შემსრულებელს რაიმე დეფექტის აღმოჩენის შესახებ.

11.3 შემსყიდველს უფლება აქვს:

- განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა შემსყიდველის ქვეყანაში მოქმედი მშენებლობის ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების ტექნიკური სპეციფიკაციების, საქართველოში მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით;
- ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტებს;
- საქართველოს კანომდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება, თუ სამუშაოს შესრულებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება;

11.4 სამუშაოს შემსრულებელი ვალდებულია:

- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით.
- სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
- სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას სამუშაოს შემსრულებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით

და სამუშაოს შემსრულებელი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება სამუშაოს შემსრულებელს;

- სამუშაოს შემსრულებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში მათ მიღებამდე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად;
- ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო მოედნებზე.

11.5 სამუშაოს შემსრულებელს უფლება აქვს:

– მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და პასუხისმგებლობა

12.1 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობად ჩაითვლება, თუ სამუშაოს შემსრულებელი:

ა) არ დაიწყებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას სატენდერო წინადადებით გათვალისწინებულ ვადაში;

ბ) არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

გ) სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებილი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

12.2 თუ სამუშაოს შემსრულებელი გადააცილებს შემსყიდველის სატენდერო წინადადებით (გრაფიკით) გათვალისწინებულ სამუშაოს შესრულების ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 0,1% -ის ოდენობით;

12.3 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პიგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 4%-ს , შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს სამუშაოს შემსრულებელი ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, სამუშაოს შემსრულებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ სამუშაოს შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ) თუ სამუშაოს შემსრულებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება;

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს სამუშაოს შემსრულებელს დანარჩენივალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდება, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) შემსრულებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ სამუშაოს შემსრულებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

13.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს სამუშაოს შემსრულებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

14. ფორს-მაჟორი

14 .1 ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,, ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან სამუშაოს შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასითი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდეემიით, კარანტინით და საქონლის მოწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორსმაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14.4 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნების უფლების გარეშე.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და სამუშაოს შემსრულებელმა უნდა ეცადოს შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა წარმოქმნილი ხელშეკრულებისირგვლივ.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და სამუშაოს შემსრულებელი ვერ შეძლებს სადაო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. გამოყენებული სამართალი

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. ხელშეკრულების ენა

17.1 ხელშეკრულება შედგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე, იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არ არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება სამუშაოს შემსრულებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

18. შეტყობინება

18.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

18.2 შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით თუ ამ თარიღებიდან, რომელი უფრო გვიან დგება.

19. გადასახადები და დაბეგვრა

19.1 უცხოური შემსრულებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადების, ბაჟების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე. რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.
19.2 ადგილობრივი შემსრულებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

20.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია2014 წლის ----------

21. სხვა პირობები

21.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
21.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
21.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

„შემსყიდველი“	„სამუშაოს შემსრულებელი“
ვანის მუნიციპალიტეტი	----------
ქ. ვანი თავისუფლების ქ. №65	----------
ს/კ 229653256	----------
ა/ა GE14LB0120198505210000----------	
სს „ლიბერთი ბანკი“-ს ვანის ფილიალი	----------
ს/კ LBRTGE22	----------
----------	----------

დანართი 1

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

* ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი;
- სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა ინვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195^1 მუხლის შესაბამისად.

დანართი № 2

რეკვიზიტები:

პრეტედენტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული ფოსტა:

ბანკის კოდი:

ანგარიშწორების ანგარიში:

პრეტენდეტი ----------

ხარჯთაღრიცხვა დანართი №3

№	სამუშაოს დასახელება	განზ.	რაოდ.	ერთ.ფასი	სულ ღირებულება
1	2	3	4	5	6
1					
2					
3					
4					
5					
6					
7					
8.....					
	დღგ	**18%**			
	სულ ხარჯთაღრიცხვით				

პრეტენდენტი ----------

დანართი №4

ინფორმაცია გამოცდილების შესახებ

№	სამუშაოების დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ღირებულება	ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება	ხელშეკრულების დადების თარიღი და 1
1	2	3	4	5	6
1					
2					
3					
4					
5					
.....					

პრეტენდენტი ----------